

საქართველოს კანონი

„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22(29), 1999 წელი, მუხ. 104) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა)

1. საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და დადგენილი წესით რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებას (გამოცდას) აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებულ ტესტირების (საგამოცდო) ცენტრებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტესტირების (საგამოცდო) ცენტრების მიმართ მოთხოვნებს და გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების (გამოცდის) წესს განსაზღვრავს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით.

3. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები, რომლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გზისთვის ვარგისობაზე ტარდება ტესტირება (გამოცდა), ტესტირების ფირნიშების ფორმა და მათი წარმოების წესი, აგრეთვე სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტესტირების (გამოცდის) პერიოდულობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით განისაზღვრება საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული აქტით.

4. გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირებისათვის (გამოცდისათვის) ფირნიშების დამზადებასა და მათი ტესტირების (საგამოცდო) ცენტრისათვის გადაცემას უზრუნველყოფს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი აკრედიტებული ტესტირების (საგამოცდო) ცენტრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს ინფორმაცია ფირნიშების რაოდენობის შესახებ, რომელსაც თან უნდა დაერთოს აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ფირნიშის საფასურია ერთი ლარი.

5. საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებულ და დადგენილი წესით რეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) არ ჩაუტარდება, თუ მის მფლობელს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახით შეფარდებული ჰქონდა ჯარიმა და იგი არ გადაუხდია დადგენილი წესით.

6. ტესტირების (საგამოცდო) ცენტრისთვის ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია.

7. ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი ვალდებულია ყოველი თვის 10 რიცხვამდე მიაწოდოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციას წინა თვის განმავლობაში ტესტირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნუსხა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით.”

2. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის აკრძალვა
საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით აკრძალულია ტექნიკურად გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია.“

3. 45¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 45¹. გარდამავალი დებულებები

1. 2004 წლის 13 სექტემბრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებას ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და დადგენილი წესით რეგისტრირებული ის სატრანსპორტო საშუალებები:

ა) რომლებითაც ხორციელდება „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-18 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული გადაყვანა/ გადაზიდვები;

ბ) რომელთაც 3 ტონა და მეტი ტვირთამწეობა გააჩნია.“

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირება შეიძლება განხორციელდეს ნებაყოფლობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება არ არის სავალდებულო, არ გამოიყენება ამ კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-13 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირებასთან და ამის დამადასტურებელ საბუთთან დაკავშირებით.

4. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში:

ა) აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა, ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტთან შეთანხმებით გამოსცეს ნორმატიული აქტი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტესტირების (საგამოცდო) ცენტრების მიმართ მოთხოვნების და გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების (გამოცდის) წესის დამტკიცების შესახებ;

ბ) ტრანსპორტის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით გამოსცეს შემდეგი ნორმატიული აქტი (აქტები):

ბ.ა. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მიმართ ტექნიკური მოთხოვნების შესახებ, რომლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გზისთვის ვარგისობაზე ტარდება ტესტირება (გამოცდა);

ბ.ბ. სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტესტირების (გამოცდის) პერიოდულობის შესახებ ;

ბ.გ. ტესტირების ფირნიშების ფორმისა და მათი წარმოების წესის შესახებ.

5. ამ კანონის მე-11 მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

6. 2007 წლის 1 იანვრამდე ტესტირების (საგამოცდო) ცენტრის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე გაცემული დოკუმენტის საფუძველზე, ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკურად გამართულობის დამადასტურებელ ფირნიშს გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი